


K17802
1

ჯ. ჩხეიძე



ი ვ ს უ ფ
კოლეჯი

792(541)2(09)


ჯემალ ჩხეიძე

ჩრ 971

იუსუფ კობაღაძე

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი

K 17802
118



სახელმწიფო გამომცემლობა

ბათუმი — 1956



შ ი ნ ა ა რ ს ი

ავტორისაგან	3
სტუდიის კედლებში	5
პირველი ნაბიჯები	8
შემოქმედებითი ზრდა	13
საკუთარი ხმა	19



რედაქტორი ი. რუხაია
ყდა მხატვარ ალ. მესხისა
ტექნორედაქტორი კ. ჩხარტიშვილი
კორექტორი შ. დარჩია

Handwritten purple stamp: 2021/11/11



გადაეცა წარმოებას 1956 წლის 19 იანვარს, ხელმოწერილია დასაბეჭდად 1956 წლის 4 თებერვალს, ქაღალდის ზომა 60X84, 3 საბეჭდი, 1,55 სააეტორო, 1,6 სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმა. შეკვეთა № 335, ემ01401, ტირაჟი 2000.



საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფსამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია
(ბათუმი, ლუქსემბურგის, 22).



ავტორისაგან


საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დედა-საქართველოს განუყოფელი ნაწილი, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ულამაზესი მხარე—აჭარა ეკონომიური და კულტურული აღმავლობის ფართო გზას დაადგა.

მოკლე დროის მანძილზე აჭარამ აღზარდა მშრომელი ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კადრები. ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში, პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობით, აღზრდილია მრავალი ექიმი, ინჟინერი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, პედაგოგი, ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების მუშაკი.

ლიტერატურისა და ხელოვნების ასპარეზზე გამოდიან ახალგაზრდა პოეტები, მსახიობები, მხატვრები.

აჭარას ჰყავს მსახიობთა ნიჭიერი კოლექტივი, რომელიც ქართული თეატრის საუკეთესო ტრადიციების ერთგულია.

წლების განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობენ და ქართული საბჭოთა თეატრის შემდგომ განვითარებაში თავიანთი წვლილი შეაქვთ საქართველოს სსრ სახალხო არტისტებს იუსუფ კობალაძეს და მერაბ ხინიკაძეს, საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტებს ნუნუ თეთრაძეს, ალექსანდრა გარნელი-დარჩიას, ზორბეგ ღლონტს, ხასან მეგრელიძეს, აკაკი მგელაძეს, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეებს შალვა ინსარაძეს, გიორგი მრავლაძეს, აჭარის ასსრ დამსახურებულ არტისტებს ლილი აფხაზავას, პავლე ინწკირველს, გალაქტიონ დოლონაძეს, ლავრენტი სვანელს, გორდუზ იმნაიშვილს, გიორგი ახვლედიანს, შალვა გეჯაძეს, სკენდერ კაიკაციშვილს, თამარ სულხანიშვილს, ლიუდმილა გურგენიძეს, ნაზია კეჭყემაძეს, მიხეილ ჯალალანიასა და სხვებს.



პარტია და მთავრობა შეუწელებლად ზრუნავენ, რათა სასცენო ხელოვნების მუშაკებს ყველა პირობა ჰქონდეთ ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის. ამის მკაფიო მაგალითია ბათუმის თეატრისათვის ახალი შესანიშნავი შენობის აგება.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს მკითხველს გააცნოს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის იუსუფ კობალაძის შემოქმედებითი გზა.

ი. კობალაძე 25 წელია უმწიკვლოდ ემსახურება ქართულ თეატრალურ კულტურას. ამ ხნის მანძილზე მან ბევრი დასამახსოვრებელი სცენური სახე შექმნა.

უკანასკნელ ხანებში მომწიფდა ნიადაგი ცალკე წიგნად გამოიცეს ის მასალები, რაც უხვადაა გამოქვეყნებული პერიოდულ გამოცემებში და საინტერესო ცნობებს იძლევა ბათუმის სახელმწიფო თეატრის ნაყოფიერი მუშაობისა და ცალკეული მსახიობების შემოქმედებითი ზრდის შესახებ.

ეს ნაშრომი ჟურნალ-გაზეთებში 1936 წლის შემდეგ დაბეჭდილი რეცენზიების შესწავლისა და საკუთარი დაკვირვების შედეგია.

სტუდიის კელეპზი

1932 წელს აჭარას საგასტროლოდ ეწვია თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი. ეს მოხდა იმ დროს, როცა მზადდებოდა ნიადაგი ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრისათვის საჭირო კადრების შესარჩევად. ამ მიზნით ახალგაზრდობის ერთი ჯგუფი იგზავნებოდა მოსკოვში თეატრალურ სასწავლებელში, მაგრამ რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობამ იკისრა ბათუმის დრამატული თეატრისათვის აღეზარდა ადგილობრივი კადრები. იმ წელსვე შეარჩიეს და თბილისში გაგზავნეს 18 ახალგაზრდა. მათთვის რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობამ თეატრთან შექმნა სპეციალური სტუდია-სახელოსნო, სადაც გაიშალა ენერგიული შემოქმედებითი მუშაობა. აჭარიდან წარგზავნილი ახალგაზრდობის ჯგუფი თანდათანობით ივსებოდა ნიჭიერი ძალებით, მათ აქ მზრუნველობას არ აკლებდნენ რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელები და თეატრალური ხელოვნების გამოჩენილი ოსტატები.

ოთხი წლის დაუღალავმა შრომამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. 1936 წლის აპრილში სტუდიადამთავრებული 22 ახალგაზრდა მსახიობის საზეიმო გამოშვება სადიპლომო სპექტაკლით აღინიშნა.

სადიპლომო სპექტაკლად პირველად ქართულ სცენაზე წარმოდგენილ იქნა ცნობილი იტალიელი დრამატურგის კ. გოლდონის კომედია „სასტუმროს დიასახლისი.“ ამ პიესის დადგმა ეკუთვნის საქართველოს სსრ სახალხო არტისტს რეჟისორ დოდო ალექსიძეს, რომელმაც აჭარის სექციის მსმენელებთან საკმაოდ დიდი მუშაობა გასწია როგორც ადრე, ისე აღნიშნული პიესის რეჟისორულად დახვეწის დროსაც. სტუდია-სახელოსნოს აჭარის სექციის მსმენელებს, რომლებსაც დედაქალაქის დიდი ტრადიციის

მქონე თეატრის სცენაზე პირველებს უნდა განხორციელებინათ აღნიშნული პიესის დადგმა, დიდი პასუხისმგებლობა აკისრებოდათ.

თეატრის ერთდროული გაზეთის „რუსთაველის თეატრის“ 1936 წლის 5 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა სტუდიის აჭარის სექციის საჩვენებელი წარმოდგენის „სასტუმროს დიასახლისის“ პროგრამა. როლები ასე იყო განაწილებული: მირანდოლინა — სასტუმროს დიასახლისი — ნ. ფხაკაძე, მარკიზი ფორლი პოპოლი — ი. კაიკაციშვილი, გრაფი ალბაფიო რიტა — გრ. კობახიძე, კავალერი რიპაფრიტა — იუსუფ კობალაძე, ფაბრიცო — ზ. ღლონტი, პორტენზია — ნ. თეთრაძე, დეანირა — ლ. აფხაზავა; მზარეულები — მ. წიგნაძე, ხ. ბაბუჩოლი; მსახურები — ე. ცივაძე, ა. სარჯველაძე, ნ. გოგიტიძე, ე. ბაკურიძე, ს. თურმანიძე, ს. კახიძე, ა. ბოლქვაძე, მ. წიგნაძე, ხ. ბაბუჩოლი. დადგმა დ. ალექსიძის, მხატვარი — ს. ქობულაძე, დირიჟორი მ. ბორჩხაძე.

მოწინავე სტატიაში გაზეთი მიესალმებოდა ბათუმის მომავალი თეატრის ახალგაზრდა მსახიობებს და რწმენას გამოთქვამდა, რომ ისინი აჭარაში სათავეში ჩაუდგებოდნენ თეატრალური ხელოვნების განვითარებას. გაზეთის ამ ნომერში დაიბეჭდა აგრეთვე ლევან ასათიანის სტატია „გოლდონი ჩვენს სცენაზე“. სადიპლომო სპექტაკლად „სასტუმროს დიასახლისის“ არჩევას სტატიის ავტორი თვლიდა ახალგაზრდა სტუდიელთა აქტიორული ნიჭისა და უნარის გამოვლინების საუკეთესო საშუალებად, „რადგანაც, — წერდა იგი; — კ. გოლდონის პიესის მოქმედ პირთა პროტოტიპები მრავლად მოიპოვებინ ჩვენს მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურაში და დრამატურგიაში. ამ მხრივ გოლდონი თითქოს ახლობელია ჩვენი თეატრისა და მყურებლისათვის.“

ამავე დროს იგი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ამ პიესის განხორციელება ქართულ სცენაზე პირველი ცდა იყო და ეს უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებდა ახალგაზრდა კოლექტივს.

რეჟისორმა დოდო ალექსიძემ ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ ქართველი მყურებლისათვის რეჟისორულად კარგად გამართული სპექტაკლი ეჩვენებინა. თავის წერილში — „გოლდონი რუსთაველის თეატრის სცენაზე“ — რეჟისორი, როცა აყენებდა კითხვას,




კ. გოლდონი. „სასტუმროს დიასახლისი“

კავალერი რიზაფრატა



ს. შანშიაშვილი. „არსენა“

არსენა



თუ რატომ აირჩია აჭარელი ახალგაზრდობის სადიპლომო წარმოდგენად გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“ წერდა: „ერთის მხრივ იმიტომ, რომ ეს ერთგვარი ცდაა კლასიკური მემკვიდრეობის კრიტიკულად ათვისებისა, მეორე იმიტომ, რომ გოლდონი თავისი საინტერესო სცენიური მდგომარეობით, შინაგანი დინამიურობით, ინტიმით, ლირიკით და უაღრესად ცოცხალი მოძრავი პერსონაჟებით, ახალგაზრდა მსახიობის უნარიანობისა და ნიჭის ყოველმხრივ გამოაშკარავების საშუალებას იძლევა.“¹ რა თქმა უნდა, რეჟისორი არჩევანში არ შემცდარა; საუკეთესო ტექსტუალური მასალა და კლასიკური დიალოგები, რითაც ხასიათდება გოლდონის ეს პიესა, კარგი საშუალება იყო ახალგაზრდა კოლექტივის პირველი გამოცდისათვის.

სადიპლომო სპექტაკლმა მაყურებელზე საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა.

მოწონების ხმები გაისმა რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზეც. გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ 1936 წლის 14 აპრილის ნომერში დაიბეჭდა ვრცელი რეცენზია, რომელშიც აღნიშნული იყო სტუდიის აჭარელთა სექციის პირველი წარმატება: „...აქტიორების თავისუფალი და მეტად მოფიქრებული თამაში გვიჩვენებს, რომ რეჟისორ დ. ალექსიძეს და თვით აჭარელ ახალგაზრდობას ხანგრძლივად და სიყვარულით უმუშავნიათ პიესაზე. აქტიორული ძალებიდან აღსანიშნავია განსაკუთრებით ნუცა ფხაკაძე „მირანდოლინა“, რომლის სახით ჩვენ საქმე გვაქვს დასრულებულ აქტიორ ქალთან. იგი საუცხოოდ ასახიერებს სიცოცხლით სავსე, ახალგაზრდა და ჭკუამახვილი სასტუმროს დიასახლისის როლს. მეტად დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას სტოვებენ „კავალერი“ (იუსუფ კობალაძე), „გრაფი“ (გრ. კობახიძე), „მარკიზი“ (ისკანდერ კიკაციშვილი), „ფაბრიცია“ (ზორბეგ ღლონტი), „მსახური“ (ესედ ცივაძე). მსუბუქი ყოფაქცევის მქონე მოხეტიალე აქტიორი ქალეპის როლში მეტად მომხიბლავები არიან ლილი აფხაზავა და ნუნუ თეთრაძე.“

1 „რუსთაველის თეატრი“, 1936 წლის 5 აპრილი.



პირველი ნაბიჯები

იუსუფ კობალაძეს ბავშვობიდანვე უყვარდა და იზიდავდა სცენა. სოფლის სკოლაში სწავლის პერიოდში, სადღესასწაულო დღეებში მონაწილეობდა თვითმოქმედი წრეების მიერ მოწყობილ წარმოდგენებში, რასაც მასწავლებლები ხელმძღვანელობდნენ. სოფელში და ბათუმის პედსასწავლებელში სწავლის დროსაც მომავალ მსახიობს ყოველთვის თან დაყვებოდა სცენისადმი მისწრაფება.

ბათუმში სწავლის დროს, 1923 წლიდან, იუსუფ კობალაძე აკაკი ფაღვას ხელმძღვანელობით გამართულ სეზონურ წარმოდგენებში (სეზონური წარმოდგენები იმართებოდა შმავესკის თეატრის შენობაში) გამოდიოდა მასობრივ სცენებში. თეატრის დასთან დაახლოებამ მას კიდევ უფრო გაუძლიერა სცენისადმი სწრაფვა. მიუხედავად იმისა, რომ სეზონურ წარმოდგენებში კობალაძის მონაწილეობა ერთ ან ორსიტყვიანი რეპლიკით განისაზღვრებოდა, იგი მაინც მთელი ინტერესითა და მონდომებით, მთელი თავისი არსებით ახლოს იდგა თეატრის კოლექტივთან და გაბედული ნაბიჯებით იკაფავდა გზას დამოუკიდებელი როლებისაკენ.

1925 წელს იუსუფ კობალაძე სწავლას იწყებს პირველი საფეხურის ერთწლიან პარტიულ სკოლაში, რომელსაც 1926 წელს ამთავრებს. ამავე წელს კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტი მას გზავნის ქალაქ თბილისში ორწლიან კურსებზე. თბილისში სწავლის დროს მას შესაძლებლობა ეძლევა ნახოს სპექტაკლები სცენის გამოჩენილი ოსტატების უშანგი ჩხეიძის, გიორგი დავითაშვილის, ვერიკო ანჯაფარიძის, თამარ ჭავჭავაძისა და სხვების მონაწილეობით.

„როდესაც ქართულ სცენაზე პირველად ვნახე დიდი ინგლისელი დრამატურგის უილიამ შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტი“ უმანგი ჩხეიძისა და გიორგი დავითაშვილის შესრულებით, — გვიამბობს იუსუფ კობალაძე, — ჩემში საბოლოოდ განმტკიცდა სიყვარული ხელოვნებისადმი. განსაკუთრებით მიტაცებდა უმანგი ჩხეიძე. სცენის დიდოსტატებისადმი ჩემმა აღტაცებამ საბოლოოდ განსაზღვრა თეატრთან ჩემი მომავალი ურთიერთობის საკითხი“.

1929 წლიდან იუსუფ კობალაძე აჭარის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მუშაობს მსახიობად. თეატრის მხატვრულ ხელმძღვანელად მამინ გაბო ღვინიაშვილი მუშაობდა.

1932 წელს, როცა ქალაქ ბათუმში საგასტროლოდ ჩამოვიდა თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივი და გადაწყდა, რომ აჭარელი ახალგაზრდების ჯგუფი რუსთაველის თეატრთან სპეციალურად ამ ახალგაზრდობისათვის შექმნილ სტუდიაში იმუშავებდა, იუსუფ კობალაძეც ამ ჯგუფთან ერთად თბილისს გაემგზავრა. ამიერიდან მას ფართოდ გაეხსნა გზა თეატრალური ხელოვნებისაკენ.

სტუდიის კედლებში გამოიწრთო და დავაყვაცდა კობალაძე. სტუდიაში ყოფნის დროს მას გარკვეული წარმატებები ჰქონდა არა მარტო როგორც კარგ მსმენელს, იგი მონაწილეობდა აგრეთვე თეატრის დადგმების მასობრივ სცენებში და დამოუკიდებელ როლებშიც გამოდიოდა, მაგალითად, ს. შანშიაშვილის „არსენაში“ და სხვ.

დამოუკიდებელ როლებში გამოსვლის დროს კობალაძე ამყვანებდა რთული როლის ათვისების უნარსა და ფართო აქტიორულ დიაპაზონს, დაუმრეტელ ტემპერამენტს, როლის გაგებისა და სახის გახსნის საუკეთესო უნარს, რითაც იგი რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა.

1937 წლის 18 მარტს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ბათუმის სახელმწიფო თეატრის პირველი სეზონი. თეატრის საზეიმო გახსნაზე დასასწრებლად მოწვეული იყვნენ ფაბრიკებისა და ქარხნების მოწინავე მუშაკები. რკინიგზელები, ჩაის პლანტაციებისა და ციტრუსოვანთა ბაღების მოწინავენი, ინტელიგენციის წარმომადგენლები, მოსწავლეები... სტუმრებს შორის იყო ლენინის ორ-

დენოსანი რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრის დელეგაცია, რომელმაც აჭარის მოსახლეობას მიულოცა მშობლიურ თეატრში სტუდიადამთავრებული ახალგაზრდა კადრების მოსვლა.

სტუდიადამთავრებულმა ახალგაზრდა კოლექტივმა ბათუმის სახელმწიფო თეატრში დაიწყო პირველი სეზონი. პირველ დადგმად მაყურებელმა მშობლიურ სცენაზე გ. მდიენის „ბრმა“ ნახა.

აღნიშნული სპექტაკლი ჯერ კიდევ სტუდია-სახელოსნოს კედლებში იყო მომზადებული რეჟისორ დოდო ალექსიძის მიერ და მას რუსთაველის თეატრის სცენიდან თბილისელ მაყურებელზე „სასტუმროს დიასახლისზე“ ნაკლები შთაბეჭდილება როდი მოუხდენია. სპექტაკლში განსაკუთრებული წარმატება ხვდათ იუსუფ კობალაძეს (რაჩკოვსკი) და მურად ხინიკაძეს (ბრმა—ანდრეი). „ბრმაში“ შესრულებული როლი ცალხელა შტაბსკაპიტნის სერგეი რაჩკოვსკისა მეორე წამყვანი როლია, რომელშიც კობალაძე ნახა მაყურებელმა და რომლის სრულყოფისათვის მსახიობმა მთელი თავისი ახალგაზრდული არტისტული შესაძლებლობა გამოიყენა. ახალგაზრდა მსახიობის ეს უდავო გამარჯვება იმდენად დიდი იყო, რომ ამ წარმატებისათვის არ შეიძლება ყურადღება არ მიექცია თეატრალურ საზოგადოებასა და პრესას. კობალაძის რაჩკოვსკი მსჯელობისა და განხილვის ობიექტი გახდა. ვერაინ უარყოფდა, რომ კობალაძემ ნახევრად სახასიათო, ისტორიული ძვრების შედეგად დასაღუპავად განწირული თავისებურად ტრაგიკომიკური სცენური სახე კლასიკურ სიმალღემდე აიყვანა.

კობალაძის მიერ 25 წლის მანძილზე შემოქმედებითი წვით შექმნილ მრავალრიცხოვან როლებში სერგეი რაჩკოვსკი თავისუფლად შეიძლება მოვაქციოთ პირველ წლებში განსახიერებელი როგორც კლასიკური, ისე ორიგინალური როლების ცენტრში.

რაჩკოვსკის როლში იუსუფ კობალაძე გამოდის მთელი არსებით, იგი ემსახურება მიზანს—მთელი თავისი ნიშანდობლივი თვისებით დაუხატოს მაყურებელს მეფის ძალაუფლების კატასტროფის გამო დასაღუპავად განწირული, თავგზააბნეული ადამიანის სცენური სახე.

იუსუფ კობალაძემ რაჩკოვსკის სცენური სახის სრულყოფის საშუალებად ჭარბად გამოიყენა პლასტიურობა, ამას ზედ დაერთო მგზნებარე ტემპერამენტი, რაც მსახიობის გამარჯვების ერთ-ერთ წყაროდ გადაიქცა.

კობალაძეს რაჩკოვსკის ხასიათში წინა პლანზე რომ მარტო დაკარგული დიდებით გამოწვეული სევდა და ნადველი წამოეწია და აქ დაესვა წერტილი, მაშინ იგი მეორეხარისხოვანი, მკრთალი პერსონაჟის ადგილს დაიჭერდა სპექტაკლში. იუსუფ კობალაძის ნიჭის წყალობით რაჩკოვსკი შეესება ან დამატება კი არაა ანდრეისა, არამედ იგი ერთ-ერთი პირველხარისხოვანი და წამყვანი სახეა, რომელიც ძალიან ხშირად თვითონაა მოქმედების ცენტრში და ამდენად მაცურებლის ყურადღების ცენტრშიც.

დრამატურგი არ მისულა რაჩკოვსკის სახის ლიტერატურულ სრულყოფამდე. მან იგი მხოლოდ ერთ გარკვეულ ასპექტში მოგვცა—ეს არის დაკარგული დიდების გამოტირება და ბოლშევიკებისადმი უმართებულო ირონია, რაც შურისძიების გრძნობამდე მიდის ხოლმე. ერთიც და მეორეც სიმთვრალეში იჩენს თავს. ასე რომ, რაჩკოვსკი მხოლოდ მაშინაა თავაშეებული მოლაყბე, როცა მთვრალია. ყველაფერი ეს რაჩკოვსკის სახის სრულყოფისათვის საკმარისი როდია. იუსუფ კობალაძე სწორად მოიქცა, როდესაც რაჩკოვსკის ხასიათის ზოგიერთი წვრილმანი წინა პლანზე წამოსწია და ამით ყოველმხრივ თანაბარი სიძლიერითა და ექსპრესიით დაგვიხატა ნიადაგამოცლილი, ხერხემალგადამტვრეული კლასობრივი მტრის დამაჯერებელი სახე.

ახალგაზრდა თეატრალურმა კოლექტივმა პირველ სეზონში წარმოადგინა ოთხი პიესა: კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“, გ. მდიენის „ბრმა“ (დამდგმელი დ. ალექსიძე), გ. მდიენის „ალკაზარი“ (დამდგმელი შ. ინასარიძე) და ს. მთვარაძის „თევრათ“ (დამდგმელი არ. ჩხარტიშვილი).

ამ სეზონში იუსუფ კობალაძემ ითამაშა აგრეთვე გ. მდიენის „ალკაზარში“ ტორეადორ პერიკო ნავაროს როლში. მსახიობმა შექმნა ფაშიზმის უღლისაგან ესპანეთის განთავისუფლებისათვის მებრძოლი გმირის დამაჯერებელი სცენური სახე.



პირველ სეზონში, სამიოდე თვის მანძილზე, თეატრის ახალგაზრდა კოლექტივმა სამართლიანად დაიმსახურა მაყურებლის სიყვარული და მოწონება. ბევრი ახალგაზრდა მსახიობი და მათ შორის იუსუფ კობალაძე მაყურებლის საყვარელი მსახიობი გახდა.

პირველი სეზონის დახურვასთან დაკავშირებით (1938 წ. ივნისი) რესპუბლიკის გაზეთებში, იბეჭდებოდა ვრცელი რეცენზიები, რომლებშიც განხილული იყო ბათუმის სახელმწიფო თეატრის ახალგაზრდა კოლექტივის მიერ განხორციელებული დადგმები სეზონის მანძილზე. თითქმის ყველა დადგმამ მაღალი შეფასება მიიღო. საუკეთესო შეფასებას აძლევდნენ იუსუფ კობალაძის არტისტულ ნიჭსა და უნარს.



შემოქმედებითი ზრდა

პირველ სეზონთან შედარებით გაცილებით ნაყოფიერი და სრულყოფილი იყო მეორე და შემდგომ სეზონებში განხორციელებული დადგმები. ეს, რა თქმა უნდა, ბუნებრივია, რადგანაც თეატრის კოლექტივი შემდგომ წლებში უფრო გამოიწროთ და საკმაოდ დაეუფლა რთულ თეატრალურ ხელოვნებას. სტუდიაში მიღებული თეორიული ცოდნა შეივსო და პარმონიულად შეეხამა პრაქტიკულ გამოცდილებას. ახლა უკვე ბათუმის სახელმწიფო თეატრის კოლექტივს საკუთარი ხმა და ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ჰქონდა მოპოვებული თანამედროვე ქართული თეატრების კოლექტივებს შორის.

მომდევნო სეზონებში თეატრის კოლექტივი წარმატებით დგამდა როგორც კლასიკოსი, ისე საბჭოთა დრამატურგების პიესებს.

1938 წელს თეატრმა მაყურებელს უჩვენა გ. მდივნის „სამშობლო“ (დამდგმელი არ. ჩხარტიშვილი). პიესაში ასახული იყო საბჭოთა მესაზღვრეების ცხოვრება.

კოლმეურნე ასლანის ერთი ვაჟი ჯემალი მესაზღვრეა, მეორე — ისმაილი, უცხოეთშია გადახვეწილი. უცხოეთში 16 წლის ყოფნის შემდეგ, მანებლური გეგმებით შეიარაღებული ისმაილი დაარღვევს საბჭოთა საზღვარს. საზღვარზე მას შეტაკება მოუხდება საბჭოთა მესაზღვრეებთან. ქურდულად შემოპარული ისმაილი თავშესაფარს სთხოვს მამას — ასლანს, მაგრამ როდესაც ასლანი გაიგებს, რომ ისმაილი სამშობლოში შემოპარულა მტრული ზრახვებით, უარს ეუბნება თავშესაფარზე, უფრო მეტიც, გადაწყვეტს საზღვრის დამრღვევი შვილი ხელისუფლებას ჩააბაროს. ისმაილი შეეცადა გაექცეს მამის სამართლიან რისხვას, მაგრამ ასლანი ვლავს ისმაილს და მის მხლებელსაც.

ასლანის როლის განსახიერებისას ი. კობალაძემ მოფიქრებული თამაშითა და გააზრებული მიზანსცენებით უაღრესად რთული

მხატვრული სახე შექმნა. თუ როგორ მუშაობდა მსახიობი ამ როლზე, თვითონ კობალაძე პრესაში წერდა: „მე წილად მხვდა „სამშობლოში“ მთავარი გმირის — მოხუცი ასლანის განსახიერება. ახალი ქვეყნის, აღორძინებული მიწაწყლის სიყვარულთან ერთად ჩემს თამაშში უნდა მეჩვენებინა სიძულვილი ძველი ცხოვრებისადმი, მაყურებელს უნდა ეგრძნო, რომ ასლანს გამოუცდია შავნელი, წყეული წარსულის საშინელებანი, სიღუბნეობა. მე მიხდებოდა ორგვარი ცხოვრების ასახვა ჩემი მოქმედებითა და თამაშით, მე უნდა გადმომეცა ძველი ცხოვრების სუსხი და ჩვენი ახალი ცხოვრების ბრწყინვალეობა. არ დამიშურავს ჩემი ენერჯია და მონდომება, რომ დამეხატა მოხუცი ასლანის სცენური პორტრეტი. მრავალი თვის განმავლობაში მე ვუკვირდებოდი და გულდასმით ვსწავლობდი ჩვენი კოლმეურნეების ცხოვრებას. ასლანი — ეს ხომ ჩვენი კოლმეურნეები, საბჭოთა ადამიანები არიან, მათ სიტყვა-პასუხს და მოქმედებას მე ვიყენებდი, როგორც საფუძველს ჩემი თამაშისას.“

ამით მინდოდა ჩემი ასლანი ყოფილიყო მხატვრულად ხორც-შესხმული გმირი, ისევე რეალური, როგორც არის ცხოვრებაში. ასე ვცდილობდი ჩვენი წარმტაცი, შესანიშნავი სინამდვილის ერთ-ერთი წარმომადგენლის გადმოცემას. თუ როგორ შევძელი ეს — ამას შეაფასებს საბჭოთა მაყურებელი.“¹

საერთოდ პიესა და ცალკეული შემსრულებლის თამაში მაყურებელმა გულთბილად მიიღო, ამიტომაც იყო, რომ „სამშობლო“ წლების მანძილზე წარმატებით იდგმებოდა ბათუმის სახელმწიფო თეატრის სცენაზე.

1941 წლის სეზონში ბათუმის თეატრის კოლექტივი წარმატებით დგამდა ცნობილი გერმანელი დრამატურგის კარლ გუცოვის ტრაგედიას „ურეელ აკოსტა“.

ურეელის დასამახსოვრებელი, სცენურად სრულყოფილი სახე შექმნეს მსახიობებმა ი. კობალაძემ და მ. ხინკაძემ.

ი. კობალაძის ურეელი გამოირჩეოდა უდიდესი ემოციურობითა და პლასტიურობით. მაყურებელმა და თეატრალურმა კრი-

1 გაზეთი „საბჭოთა აპარა“, 1938 წ., 20 იანვარი.







ტიკამ გულთბილად მიიღო ეს კარგად გამართული სპექტაკლი. პრესა ცალკეულ შესრულებებს და კერძოდ ურიელის როლის შესრულებას საუკეთესო შეფასებას აძლევდა.

რეცენზენტი წერდა: „მიზანს არ სცდება კობალაძის დაფიქრებული, დასვედიანებული სახე და ლირიული გამოხედვა... განსაკუთრებით ბევრის მთქმელია კობალაძის თვალები... მისგან გამოკრთის დარდიც, დაღლილობა, ღრმადამიანურობისა და სიყვარულის მაღალი გრძნობა.“¹ დასასრულ რეცენზენტი კობალაძის ურიელს მსახიობის მორიგ დიდ გამარჯვებად თვლიდა.

კობალაძემ ამ როლის შესრულებით გამოამყვანა როლის დამოუკიდებლად გააზრებისა და გაგების ნიჭი და შესაძლებლობა. ის ურიელის შესრულების დროს არ გაპყოლია სცენის დიდოსტატების მიერ გაცვალულ გზას, რომელთაც სხვადასხვა დროს ბრწყინვალედ შეუსრულებიათ უდიდესი მოაზროვნის ურიელ აკოსტას როლი.

გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის გამირული ბრძოლის წლებში ბათუმის სახელმწიფო თეატრმა ბევრი შესანიშნავი დადგმა განახორციელა. ქართული თეატრის სცენიდან სამამულო ომის წლებში საბჭოთა ადამიანებს თეატრის კოლექტივი მოუწოდებდა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად, ჩვენი დიადი სამშობლოს დასაცავად.

ბათუმის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა სამამულო ომის წლებში დიდი შემოქმედებითი მუშაობა გასწია: განახორციელა ისეთი პიესების დადგმა, როგორცაა დ. ერისთავის „სამშობლო“, კორნეიჩუკის „ფრონტი“, სიმონოვის „რუსი ადამიანები“, ე. შევსკისა და კაცის „ოლეკო ღუნდიჩი“, ფინისა და გუსის „ბერლინის გასაღები“, ა. შერვაშიძის „ბაგრატიონი“ და სხვ.

ფინისა და გუსის ისტორიული პიესა „ბერლინის გასაღები“ ასახავს ისტორიულ ფაქტს, როცა პრუსიის გათავხედებული მეფე ფრიდრიხ მეორე ისწრაფვოდა დაეპყრო მეზობელი ხალხები და ამას ნაწილობრივ კიდევაც მიაღწია. დაამარცხა რა ავსტრიელები და მათი მოკავშირე ფრანგები, ბრძოლის ველზე შეხვდა რუსეთის

¹ გაზეთი „ახალგაზრდა ლენინელი“, 1941 წ., 3 ივლისი.

არმიას. ამ შეხვედრამ განსაზღვრა აგრესორ ფრიდრიხის შემდგომი „უძლევლობის“ საკითხი. რუსეთის არმიის მიერ დამარცხებულ ფრიდრიხის მზე ჩაესვენა. სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რუსი ჯარისკაცი ფრიდრიხის ლანდსკნეხტზე ძლიერი აღმოჩნდა. მტრის დედაქალაქში ტრიუმფალური მარშით შევიდა რუსეთის არმია. რუსეთის არმიამ იხსნა ევროპის ხალხები აგრესიისაგან. 1760 წლის სექტემბერში ბერლინის გასაღები რუსეთის არმიის სარდლობას გადაეცა.

პიესის დამდგმელმა რეჟისორმა შ. ინასარიძემ რეჟისორული კომპოზიცია მიმართა იქითკენ, რომ წინა პლანზე წამოეწია ფრიდრიხის ცბიერი, მტაცებლური პოლიტიკა, რუსი ჯარისკაცის ბრძოლა და თავდადება სამშობლოსათვის. დამაჯერებლად გააზრებული მიზანსცენები ხელს უწყობს პიესაში მონაწილე მსახიობთა მთლიანობასა და ურთიერთდამოკიდებულებას.

პრუსიის მეფე ფრიდრიხ მეორის როლი შეასრულა იუსუფ კობალაძემ. კობალაძის ფრიდრიხის ხასიათში თანაბრადაა შერწყმული დამპყრობლის როგორც ცბიერება და მუხანათობა, ისე დამპყრობლისათვის დამახასიათებელი თავხედობა. კობალაძემ თავისი ფრიდრიხით მაყურებელი კანონიერი სიძულვილის გრძნობით გამსჭვალა. ამით მან მიზანს მიაღწია და მაყურებელი ერთხელ კიდევ აავსო ზიზღით ყველა ჯურის აგრესორის მიმართ.

სამამულო ომის წლებში ბათუმის სახელმწიფო თეატრის მიერ განხორციელებულ რამდენიმე დადგმაში ბათუმელმა მაყურებელმა ნახა სცენურად რთული უარყოფითი სახეები ი. კობალაძის შესრულებით.

ხანგრძლივი დამბული მუშაობის შედეგად კობალაძე მთლიანად ჩამოყალიბდა, როგორც ტრაგიკული ჟანრის მსახიობი. ამის დამადასტურებელია ბათუმის თეატრის მიერ განხორციელებულ ერთ-ერთ საუკეთესო დადგმაში — ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილში“. ბახას როლის შესრულება.

დამდგმელმა რეჟისორმა არ. ჩხარტიშვილმა ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილზე“ მუშაობისას ჩონთასა და ბახას პირადული ურთიერთობა კი არ დააყენა წინა პლანზე, მან სპექტაკლის მაგისტრა-

ლურ ხაზად სამშობლო და სამშობლოს სიყვარული წამოსწო. რე-
ჟისორმა პიესის ასეთი კომპოზიციური განვითარებით სპექტაკლს
სცენურად სრულყოფილი სახე მისცა. პიესა დაიდგა 1945 წლის
მარტში, როცა გმირი საბჭოთა არმია უკანასკნელი გამანადგურებ-
ლი დარტყმებით ფაშიზმის ბუნაგს — რაიხსტაგს უახლოვდებოდა.
პატრიოტულ თემაზე შექმნილი სპექტაკლი ბერლინის დაცემის
წინა დღეებში მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

ი. კობალაძემ „მოკვეთილში“ ბახას რთული სცენური სახე
შექმნა. მას ბოლომდე თანაბარი სიძლიერით მიჰყავს ბახას როლი.

რამდენიმე წლის შემდეგ (1954 წ.) ი. კობალაძეს თვითონ მო-
უხდა „მოკვეთილის“ აღდგენაზე მუშაობა. მან სპექტაკლის აღდგე-
ნაზე მუშაობით გამოამჟღავნა საკმაო რეჟისორული ცოდნა და
უნარი.

როგორც ცნობილია, ვაჟამ თავის შემოქმედებაში დიდი ადგი-
ლი დაუთმო თემისა და პიროვნების ურთიერთობის საკითხს. თე-
მური წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი თითქმის ყველა გმირი
ვაჟას ნაწარმოებებისა ავტორისა და მკითხველის სიმპათიით სარ-
გებლობს. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ბახა, რომელიც
შეურაცხყოფამ თემის უნებლიე მოლაღატედ გადააქცია. ბახა არ
არის დადებითი გმირი, მაგრამ ბუნებით არც თავისი მიწა-წყლის
მოძულე და მოლაღატეა. თემის საყვარელმა გმირმა ჩონთამ და-
ჩაგრა ბახა, მას საცოლე წაართვა. ბახა კარგი ვაჟაკია, მაგრამ
ჩონთა სწორუბოვარია. შურისძიების გრძნობამ აღაგზნო ბახა და
მას მცდარი ნაბიჯი გადაადგმევინა. ის ქისტებს შემოუძღვა მშობ-
ლიურ ფშავში, ისარგებლა იმით, რომ ჩონთა არ იყო სახლში, ჩონ-
თას ოჯახი დაარბევინა, მისი ცოლი კი გაიტაცა. ბახას აქაც შე-
ურცხვინეს იარაღი — ჩონთამ ცოლი გამოსტაცა მომხდურებს,
ბახა კი ხელებშეკრული დააბრუნა თემში.

თემმა მოკვეთა ბახა. დამცირებული ბახა მიპარვით კლავს
ჩონთას და ქისტებში შეაფარებს თავს. პიესის ფინალში ირკვევა,
რომ ბახასათვის, როგორც ყველა პატიოსანი ფშაველისათვის,
ძვირფასია მშობლიური მიწა-წყალი. როდესაც ქისტები ფშაველ-
თა მრავალ ბრძოლაგამოვლილ სათემო დროშას ჩაიგდებენ ხელში,
ბახა თავისი მახვილით წყვეტს ბრძოლის ბედს. ის ქისტების ბე-

17
საქართველოს
საბჭოთა კავშირის
საქართველოს
საბჭოთა კავშირის



ლადს ხმლით გაუბობს მკერდს და მტერს მშობლიურ დროშას გამოსტაცებს. ფშაველები იმარჯვებენ. ბახა კი მიჰყვება ყაზბეგისა და ვაჟას გამირების დევიზს „შერცხვენილ სიცოცხლეს ვაჟაკური სიკვდილი სჯობია“ და საკუთარი ხანჯლით იკლავს თავს. თვითმკვლელობა საერთოდ არასოდეს არ ყოფილა გამართლებული და იგი უნებისყოფობას მოწმობს. მაგრამ ბახა თვითმკვლელობით საბოლოოდ იწმინდება უნებლიე ცოდვებისაგან.

რთულია ბახას სახე. იგი შეიძლება ბევრნაირად იქნას გაგებული და წარმოდგენილი. შეიძლება მსახიობმა ბახას როლში ითამაშოს ლაჩარი და სამშობლოს გამყიდველი, რომელიც მხოლოდ ფინალში ინანიებს დანაშაულს თავისი ქვეყნის წინაშე. მაგრამ ეს სახე არ იქნება დამაჯერებელი. ამ როლში კობალაძის გამარჯვებას იმანაც შეუწყობს ხელი, რომ მან თავიდან ბოლომდე გაუგო ბახას. ბახა მან ისე ითამაშა, როგორც ის დიდ ვაჟას ჰყავდა წარმოდგენილი და ამით დამაჯერებელი სახე შექმნა მთიელი ვაჟაკისა, რომლისთვისაც სამშობლო ყველაფერია, მიუხედავად იმისა, რომ ის ზოგჯერ, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, როგორც სამშობლოს, ისე სახელისა და მორალის უგულვებელმყოფელის როლში ვკვლინება. ამ შემთხვევაში თემური წყობილებაცაა დამნაშავე. სახის ამ ასპექტში გახსნამ განაპირობა ძირითადად კობალაძის გამარჯვება ბახას სახის გამოკვეთისას.



ვ. ღარასელი. „კიკვიძე“

მინაი ღუღნიკოვი



სოფოკლე. „აიდიზოს მეფე“

ოიდიზოს



საკუთარი ხმა

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს მსახიობის შემოქმედებითი მუშაობა.

1946 წლის 23 თებერვალს ი. კობალაძეს აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა, ხოლო იმავე წლის 5 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ი. კობალაძეს ხელოვნების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება მიანიჭა.

სწორედ ეს წლები ითვლება ი. კობალაძის არტისტული ნიჭის სრულყოფილი გამოვლინებისა და გაფურჩქვნის პერიოდად. ამ წლებში შექმნა მან ანტიკური ეპოქის ცნობილი ბერძენი დრამატურგის სოფოკლეს ტრაგედიაში „ოიდიპოს მეფე“ ოიდიპოსის დაუვიწყარი და სცენურად სრულყოფილი მონუმენტური სახე.

თავისი ოიდიპოსით კობალაძე მაყურებელს წარუდგა, როგორც დიდი ნიჭისა და ტემპერამენტის მსახიობი.

ქალაქ თებეს შავი ჭირი მუსრს ავლებს. თებელნი იმედს ოიდიპოს მეფეზე ამყარებენ, რომელმაც კადმოსის ქალაქი იხსნა სფინქსისაგან. თებელებს იმედი აქვთ, რომ ოიდიპოსი ახლაც იხსნის მათ სამეფოს მმუსვრელი სენისაგან.

როდესაც მისანი შეატყობინებს ხალხს, რომ შავი ჭირი მანამ იმძვინვარებს, სანამ მეფე ლაიოსის მკვლეელი სამეფოდან არ იქნება გაძევებული, აქ კობალაძე-ოიდიპოსი შეუდარებელია. ხალხისადმი მისი მრისხანე მიმართვა მოქმედების განვითარების მომაჯადოებელი კულმინაციაა.

მაყურებელი კობალაძის ძლიერი, დაუშრეტელი ტემპერამენტის ტყვეობაში ექცევა. დაუვიწყარია მონოლოგი:




მე, მეფე თქვენი, გიბრძანებთ ყველას:
 თავშესაფარი არ მისცეთ მკვლელთა,
 არ მიესალმეთ, არც მიიკაროთ
 თქვენს სალოცავში,
 წყალსა ნაკურთხსა ნუ მიაწოდებთ;
 ვით ბიწიერნი, განდევნეთ ყველამ...
 ვწყევლი მე მკვლელთა, ვინც უნდა იყონ...
 თვით ვიყო წყეულ, შეჩვენებულნი,
 თავსა დამატყდეს რისხვა ღმერთების,
 თუ ჩემთან ჰერქვეშ აღმოჩნდა მკვლელი.

კობალაძე განსაკუთრებით მომხიბლავია წყევლის სცენაში. მისი წყევლა—ეს არ არის უბრალო მომაკვდავის გაბოროტება. ეს ჰეიქა-ქუხილია და, ვაი იმას, ვისაც ეს რისხვა თავს დაატყდება. კობალაძე-ოიდიბოსი ამშვიდებს ხალხს, რომ მკვლელს იპოვის და გააძევებს სამშობლოდან. ხალხი მზრუნველი მეფის კმაყოფილია. მკვლელის შემდგომი ძებნა ანტიკური გმირის მონუმენტური სახის სრულყოფილი, უნაკლო გამოკვეთაა. ვუახლოვდებით კობალაძე—ოიდიბოსის ორმაგი შეცოდების გამომქდავენების სცენას—იგი ხომ საკუთარი მამის მკვლელია და დედის სარეცლის შემბილწველი. კობალაძე-ოიდიბოსისა და მისან ტირესიას, რომელსაც უნარი შესწევს მკვლელი იპოვოს, შეხვედრის სცენით იწყება ტრაგიკული კვანძის განსკვა. ამ სცენაში ჩანს, რომ კობალაძის ოიდიბოსი მართო ხალხისათვის მზრუნველი მეფე კი არაა, არამედ მრისხანე მტარვალისა. იგი ტირესიას სიტყვებში „შენა ხარ მკვლელი, ვისაც ჩვენ ვეძებთ“, ღალატს ხედავს კრეონტის მხრივ. ოიდიბოსი დარწმუნებულია, რომ ტირესია კრეონტის მოსყიდულია, რომ მის წინააღმდეგ შეთქმულებაა და მოსალოდნელია ტახტი გამოეცალოს ხელიდან. იწყება გაორება. ოიდიბოსს ოდესღაც ხომ უწინასწარმეტყველეს, რომ იგი საკუთარ მამას მოკლავდა და მამის ადგილს დაიჭერდა დედის სარეცელზე. და ბერძნებს ხომ ღრმად სწამდათ „მოირა“—ბედისწერა. და თუ გარდაუვალი ბედისწერა ასეთ საშინელებას უმზადებდა ოიდიბოსს, არაბუნებრივად აღარ მოგეჩვენებათ მისი მრისხანება როგორც ღმერთების, ისე მოკვდავების—ტირესიასა და კრეონტის მიმართ. ამ მრისხანებაში მოჩანს

უკანასკნელი იმედი (უფრო სწორად უსუსური ნუგეზი)—იქნებ ყველაფერი ეს მოწყობილია, თუ არა და რისთვის დასჭირდნენ ღმერთებს ასეთი მიუტევებელი უნებლიე დანაშაულის ჩამდენად ეს კეთილშობილი ახალგაზრდა აერჩიათ. უდავოდ მძიმე სცენაა. საკმარისია ოდნავი დაცურება, და მაყურებლის თვალში ოიდიპოსი საზიზღარ პიროვნებად გადაიქცევა. და ეს რომ ასე არ მოხდეს, მსახიობმა მაქსიმალურად უნდა დაძაბოს სულიერი ძალა. თუ იგი ერთ შემთხვევაში განრისხებული ლომის მსგავსად ყველაფერს მუსრის გავლებით ემუქრება, სხვა შემთხვევაში ხერხემალგადატეხილი, ბედისწერით მიწასთან გასწორებული, მაყურებლის სიმპათიით დაჯილდოებული გმირია. ერთიცა და მეორეც საჭიროა სახის მონუმენტური გამოკვეთისათვის. და თუ ოიდიპოსი ფინალშიც მაყურებლის საყვარელ გმირად რჩება, ეს არის კობალაძის დიდი გამარჯვება.

კობალაძე-ოიდიპოსი დედოფალთან საუბარში თანდათან რწმუნდება მისანს სიმართლე უთქვამსო. მრისხანება შეშფოთებით იცვლება. ლაიოსი მოუკლავთ გზაჯვარედინზე ფოკიდაში. ოიდიპოსი ჰგავს ლაიოსს. ისიც ტანად მაღალი და ბრგე მოყვანილობისაა, ლაიოსს ამაღლაში ხუთი კაცი ჰყავდა. მათგან, ერთის გარდა, ყველანი დაიხოცნენ. ერთადერთი ნუგეზი ის გადარჩენილი კარისკაცია. მან უნდა დაადასტუროს ვინ არის მკვლელი. მის ნათქვამზეა დამოკიდებული ოიდიპოსის შემდგომი ბედი. დაძაბულად მიდის ლოდინის სცენა — როდის შემოიყვანენ მწყემსებთან თავშეფარებულ, სიკვდილს გადარჩენილ ლაიოსის კარისკაცს. კობალაძე-ოიდიპოსი ან კვლავ გმირი უნდა დარჩეს, ან საზიზღარ არსებად გადაიქცეს. მანამდე კი არის საბაბი კობალაძე-ოიდიპოსის მიმართ გულცივობისა. მაგრამ ასე როდია. კობალაძეს აქ იმდენი სითბო აქვს, რომ მაყურებელი არ ფიქრობს მოემზადოს ზიზღისათვის, სიბრალული იმარჯვებს, და ეს კობალაძე-ოიდიპოსის გამარჯვებაცაა.

გაწყდა იმედის უკანასკნელი სუსტი რგოლიც — ოიდიპოსი საკუთარი მამის მკვლელია. კიდევ მეტი — დედას შეუგინა სარეცელი, მას ზომ საკუთარ დედასთან შვილებიც ჰყავს, მან უკვე დაკარგა საზოგადოებაში დამკვიდრებული საკუთარი ადგილი. იგი მწვერვლიდან უფსკრულისაკენ მიექანება და ეს ნაჩვენებია კობალაძე-



ოიდიბოსის მაღალი კიბიდან დაქანებით. კიბიდან ძირს დაქანება დამდგმელი რეჟისორების არჩილ ჩხარტიშვილისა და შალვა ინასარიძის ნიჭიერი ჩანაფიქრია. ამით მათ, უპირველეს ყოვლისა, თქვეს, აწი ოიდიბოსის თვალში სიცოცხლეს ფასი აღარა აქვს, მისთვის არ არსებობს ისეთი სასჯელი, რომლითაც შეიძლებოდეს დანაშაულის გამოსყიდვა. სულიერი ბრძოლით დაღლილი, მოთენთილი კობალაძე-ოიდიბოსი ნელი ნაბიჯით ტოვებს სცენას. ამ ნაბიჯებამდე კობალაძე-ოიდიბოსმა იმდენი რამ გააკეთა, რომ მაყურებელი თანაუგრძნობს ხალხისათვის მებრძოლ გმირს.

კობალაძე-ოიდიბოსმა დანაშაულის გამოსასყიდად საკუთარი ხელით დაითხარა თვალები, დატოვა თებე და მით ხალხს ბედნიერება მიანიჭა.

„თვით აპოლომ გამიმეტა შავბედიანი,
მაგრამ თვალნი კი ჩემის ხელით ამოვითხარე.
ამისთვის ღმერთთა დახმარება მე არ მჭიროდა,
რისთვის-ღა უნდა მეცქირა ჩემის თვალებით?
მამის ნეშთისთვის, თუ ჩემ ცოცხალ შვილებისათვის,
რათა მათ თვალში წამეკითხა უტყუვი თავზარი,“ —

ამბობს კობალაძე-ოიდიბოსი და მაყურებელიც იზიარებს მის ნათქვამს. აქ ყველაფერი ბუნებრივია, — სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო; რეჟისორულად კარგად გააზრებულმა ძლიერმა ფინალმა გამარჯვება მოუპოვა მსახიობს. აი, რას წერდა ამის შესახებ პრესა: „ეს სცენა (იგულისხმება გამოთხოვების სცენა. — ჯ. ჩ.) გარდა დიდი პოეტური სილამაზისა, ყურადღებას იპყრობს შესანიშნავი რეჟისორული გააზრებით. ტექსტის ოდნავი მონტაჟით დამდგმელებმა ფინალში მთელი სიმკვეთრით მოგვცეს ტრაგედიის მაღალი მორალი, ოიდიბოსის სულიერი სიძლიერე და დიდი ჰუმანიზმი. ოიდიბოსმა გადაწყვიტა ხალხს გაეცალოს. იგი ბრმა, ტანჯული აჰყვა საფეხურებს და სადაცაა თვალებს უნდა მიეფაროს. თითქოს ყველაფერი დამთავრდა და ჩამოწოლილი სიჩუმე უხერხულად და უადგილოდ გეჩვენებათ. მაგრამ აი, კლდის პირამდე მისული ოიდიბოსი ხალხისაკენ მობრუნდება ისევ და ამბობს: „თქვენ კი, თებესელთ, აწ გაწმენდილთ ბოროტებისგან, თხოვნით მოგმართავთ: აწ და მარადის სიმართლე გქონდეთ ცხოვრების საგნად და უკუნით“


გწყალობდეთ ღმერთი“. რა ამალეღვებლად, რა ადამიანურად გა-
სმის ეს სიტყვები ჭექა-ქუხილის შემდეგ ცისარტყელით გადასუ-
რილ ცის ფონზე, როგორ შესანიშნავად ასურათებს იგი ოიდიპო-
სის შინაგან კეთილშობილებას, მის ღრმა ადამიანობასა და მოქა-
ლაქებობობას, წარმოუდგენელია უფრო უკეთესი და უფრო
ამალეღვებელი ფინალი.“ — წერდა ი. რურუა გაზეთ „საბჭოთა
აჭარაში.“

კობალაძემ თავისი მაღალი სცენური ოსტატობით განსახიერე-
ბული ოიდიპოსით მაყურებლის საერთო აღიარება მოიპოვა. კობა-
ლაძე ოიდიპოსის როლში ნახეს თბილისელმა და საქართველოს
სხვა ქალაქების მშრომელებმაც. თბილისელი მაყურებლის თვალ-
ში ოიდიპოსით კობალაძემ ერთ-ერთი საუკეთესო მსახიობის სახე-
ლი მოიხვეჭა. თეატრალურმა კრიტიკამ მას ბრწყინვალე შეფასება
მისცა.

თბილისი. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი. ბა-
თუმის სახელმწიფო თეატრის კოლექტივს, რომელიც აქ საგასტ-
როლოდაა ჩამოსული მაყურებელი გულთბილად ხვდება.

...დგამენ სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეს“. პარტერში და იარუ-
სებზე ტევა არ არის. ძველი ტრაგედიისათვის დამახასიათებელი
საყვირის ხმა მაყურებელს ამცნობს სპექტაკლის დაწყებას. იხსნება
ფარდა და პირველივე წუთებიდან მაყურებელი რამდენიმე ასეუ-
ლი წლით შორდება აწმყოს. მშვენივრად გაფორმებული დეკორა-
ცია, გემოვნებით შეკერილი ანტიკური ჩაცმულობა და ნიჭიერად
დაწერილი მუსიკა ხიბლავს მაყურებელს. მაყურებელი თითქოს
მომსწრე და მოწამეა ანტიკური პერიოდის ამ საშინელი ტრაგედიი-
სა. კობალაძის-ოიდიპოსის პირველ გამოჩენას მაყურებელი მხურ-
ვალე ტაშით ხვდება. პირველი ნაბიჯი მოწონებას იმსახურებს.
მაზანი მიღწეულია. მსახიობმა დასაწყისიდანვე დაიბურო დარბა-
ზი. ახლა მთავარია გეგმაზომიერად ხარჯოს დიდი მარაგი შინა-
განი ცეცხლისა და მსახიობი ფინალშიც ისეთივე ძლიერი და მიმ-
ზიდველი იქნება, როგორც სხვა სცენებში იყო.

ფინალი. თვალდათხრილი ოიდიპოსი-კობალაძე უკანასკნელი
მონოლოგის შემდეგ ნელი ნაბიჯით გადის სცენიდან. ფარდა იხუ-
რება. კობალაძის ძლიერი თამაშით მოხიბლული მაყურებელი თით-
ქოს არ ფიქრობს დარბაზიდან გასვლას. რამდენიმე წუთს გრძელ-



დება ოვაცია. რამდენჯერმე იხსნება და იხურება ფარდა. დიდხანს არ ცხრება ტაში და წამოძახილები: კობალაძე! კობალაძე!

ოიდიპოსის მონუმენტური სახის უნაკლო გამოკვეთა ჰქონდათ მხედველობაში ცენტრალურ გაზეთებში მოთავსებული რეცენზიების ავტორებს ბ. ჟღენტს, დ. ბენაშვილს, ლ. ბაგრატიონს და სხვებს, როცა ისინი ქართული საბჭოთა სცენის დასრულებულ მსახიობად აღიარებდნენ ი. კობალაძეს.

გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების“ 1947 წლის 7 დეკემბრის ნომერში მოთავსებული იყო ს. ბარელის წერილი „ბათუმის თეატრის სპექტაკლები“ (თბილისში. — ჯ. ჩ.). წერილის ავტორი სოფოკლეს „ოიდიპოს მეფის“ დადგმას ბათუმის სახელმწიფო თეატრის კოლექტივის მიერ თეატრის იდეურ-მხატვრულ გამარჯვებად თვლის.

ავტორი ხაზს უსვამს კობალაძის უნაკლო თამაშს. „ოიდიპოსის ტრაგიკულ-მხატვრული სახე შექმნა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ი. კობალაძემ. მსახიობს დიდა მუშაობა ჩაუტარებია ამ როლის დაძლევისათვის. ამ მუშაობას ამაოდ არ ჩაუვლია, — კობალაძეს მთელი ეს მონუმენტური სპექტაკლი მიჰყავს ძლიერი შთაგონებით...“

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ 1948 წ. 21 ივლისის ნომერში შეჯამებული იყო საქართველოს საქალაქო და რაიონული თეატრების რესპუბლიკური დათვალეერების შედეგები. მიმომხილველი კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი წერილში დიდ ადგილს უთმობს ბათუმის სახელმწიფო თეატრის დადგმას — „ოიდიპოს მეფეს.“ როცა განიხილავს ცალკეული როლების შესრულებას, ი. კობალაძის შესახებ წერს:

ი. კობალაძე „ნათელი შტრიხებით ჰქმნის იმ ადამიანის ტრაგიკულ სახეს, რომელიც განწირულია საშინელი ტანჯვისათვის გვიჩვენებს ბედისწერასთან ტიტანურ ორთაბრძოლაში ჩაბმული ოიდიპოსის სულიერ სიმტკიცეს. მსახიობი მაღალი სცენური ოსტატობით ავითარებს სახეს, მიჰყავს იგი საბედისწერო ფინალისაკენ, როცა განსაკუთრებული ძალით ვლინდება ი. კობალაძის შემოქმედებითი ინდივიდუალობის დამახასიათებელი თვისებები,

მგზნებარე ტემპერამენტი, შინაგანი ძალა, გარეგნული მოქნილობა...“


საქართველოს საქალაქო და რაიონული თეატრების რესპუბლიკურ დათვალეირებაში ბათუმის სახელმწიფო თეატრი სამი სპექტაკლით (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, ფედერიკო გარსიას „სისხლიანი ქორწილი“ და კონსტანტინე სიმონოვის „რუსეთის საკითხი“) წარდგა.

გაზეთმა „კომუნისტმა“ სპეციალური მიმოხილვა გაუკეთა ბათუმის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლებს. დათვალეირებაში განსაკუთრებული მოწონება ხვდა „ოიდიპოს მეფეს.“ წერილის ავტორი ლ. ბაგრატიონი ხაზს უსვამს სპექტაკლის დამდგმელების ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების არჩილ ჩხარტიშვილისა და შალვა ინასარიძის იმ დიდ შრომას, რაც მათ გასწიეს სპექტაკლის სრულყოფისათვის. წერილის ავტორი მართებულად უსვამს ხაზს დადგმის ძირითად მხარეს. იგი წერს: „გარდაუვალი ბედისწერა, რომელსაც სოფოკლეს ტრაგედიაში უდიდესი როლი ჰქონდა მიკუთვნებული და რომელთანაც, ავტორის თვალსაზრისით, ამათა ბრძოლა, სპექტაკლში მეორე პლანზეა გადატანილი. დამდგმელებმა ხაზი გაუსვეს ოიდიპოს მეფის ადამიანურსა და მოქალაქეობრივ ღირსებას, წინა პლანზე წამოსწიეს მისი ბრძოლა არა ბედისწერის წინააღმდეგ, არამედ თავისი ხალხის სულიერი სიწმინდისა და მორალური სიმტკიცისათვის.“ („კომუნისტი“ 1948 წ. 11/7, № 137)

ამავე წერილში განხილულია ცალკეული შემსრულებლებიც. ი. კობალაძის მიერ შესრულებულ როლზე რეცენზიის ავტორი წერს: „ეს როლი მსახიობის დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს. კემპარიტი ადამიანურობითა და გრძნობათა უშუალო გადმოცემით სადა, კეთილშობილური და ამავე დროს სიდიადის გამომსახველი ყესტით იგი ქმნის ოიდიპოს მეფის სრულყოფილ და მიმზიდველ სახეს.“

ზემოთქმულიც საკმარისია იმისათვის, რომ ნათელი გახდეს, თუ რა დიდ გამარჯვებას მიაღწია ი. კობალაძემ ოიდიპოსის შესრულებით.

უდავოა, ოიდიპოსის მონუმენტური სახის გამოკვეთისას კობალაძე თავისი ნიჭის გარდა დიდადაა დავალებული დამდგმელი



რეჟისორების, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების არჩილ ჩხარტიშვილისა და შალვა ინასარიძისაგან, რომელთაც ღრმა რეჟისორული გააზრებით სოფოკლეს ეს უკვდავი ტრაგედია ქართველი მაყურებლის ერთ-ერთ საყვარელ სანახაობად აქციეს. აქ მათ დაეხმარათ თანამედროვე თეატრისა და მაყურებლის მოთხოვნათა საფუძვლიანი ცოდნა, წინააღმდეგ შემთხვევაში პიესაში ადამიანური უკანა პლანზე იქნებოდა დაყენებული, ხოლო ბედისწერის საკითხი და მასთან ბრძოლის შეუძლებლობა დღევანდელობას დაცილებული, და ამდენად, სოფოკლეს თვალთახედვით იქნებოდა გადაჭრილი.

სამამულო ომის დროს, 1943 წ., ბათუმის სახელმწიფო თეატრის სცენაზე დაიდგა ბათუმელი დრამატურგის ამირან შერვაშიძის ისტორიული პიესა „გენერალი ბაგრატიონი.“ როგორც დრამატურგს, ისე თეატრის კოლექტივსაც, ამ პიესაზე მუშაობის დროს ამოქმედებდათ მისწრაფება მაყურებლისათვის ეჩვენებინათ 1812 წლის სამამულო ომის გმირი, რუსეთის არმიის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი სარდალი, სუვოროვის მოწაფე და კუტუზოვის საყვარელი თანამებრძოლი, ქართველი ხალხის შვილი პეტრე ბაგრატიონი. რუსეთის არმიის ეს ლეგენდარული გმირი საბჭოთა ხალხის სამამულო ომის წლებში მაყურებლისათვის დიდი შთაგონების წყარო იყო.

მაშინაც (1943 წ.) და რამდენიმე წლის შემდეგაც (1954 წ.), როცა ეს სპექტაკლი აღდგენილ იქნა, მას მაყურებელი მოწონებით შეხვდა. გენერალ ბაგრატიონის დასამახსოვრებელი სახე შექმნა ი. კობალაძემ. მას ნიჭი და უნარი არ დაუშურებია იმისათვის, რომ მკაფიოდ გამოეკვეთა მსოფლიოს დაპყრობის მანიით დაავადებული იმპერატორის ნაპოლეონ ბონაპარტეს არმიის წინააღმდეგ მებრძოლი, შეუდრეკელი, რკინისებური ნებისყოფის მქონე გენერლის სცენური სახე. კობალაძეს, სანამ ამ როლზე მუშაობას შეუდგებოდა, რა თქმა უნდა, ღრმად ჰქონდა შეგნებული, თუ რა რთული ამოცანა იდგა მის წინაშე. ნიჭიერმა მსახიობმა ყველაფერი გააკეთა, რომ ღირსეულად წარმოედგინა მაყურებლისათვის საქართველოს ეს სახელოვანი შვილი. კობალაძე თავისი შთაგონებული პლასტიური თამაშით დამაჯერებლად ასახიერებს დიდო სარდლისა და მოსიყვარულე ადამიანის სახეს. კობალაძის ბაგრატი-

ონი თანაბარი სიძლიერითა და უბრალოებით ხასიათდება როგორც სიყვარულში, ისე ბრძოლასა და ბრძოლის შემდეგაც — სასიკვდილო სარეცელზე. კობალაძე ფინალში, შეიძლება ითქვას, მოლოდინს აჭარბებს (სიკვდილის სცენაში). მისი მომაკვდავი ბაგრატიონი სამშობლოს ისეთ ღრმა სიყვარულს ამჟღავნებს, რომ მაყურებელი მთლიანად ექცევა მსახიობის დაუშრეტელი ტემპერამენტის გავლენის ქვეშ. მაყურებელი ცრემლს ვერ იკავებს, როცა კობალაძე-ბაგრატიონს მოულოდნელად ეტყვიან, რომ მოსკოვი აღებულია.

ბათუმის თეატრის კოლექტივის საგასტროლოდ ყოფნის დროს ი. კობალაძის ბაგრატიონი ნახეს საქართველოს სხვა ქალაქებშიც.

საქართველოს კპ ფოთის საქალაქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ორგანოს „მგზნებარე კოლხიდელის“ 1953 წლის 6 ივლისის ნომერში დაიბეჭდა კ. კომახიძის რეცენზია სათაურით „სამი სპექტაკლი“, რომელშიც განხილულია ფოთის სახელმწიფო თეატრში საგასტროლოდ ჩასული ბათუმელი მსახიობების დადგმები: „ბაგრატიონი“, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ და „კიკვიძე“.

გაზეთი საუკეთესო შეფასებას აძლევს ბათუმის თეატრალური კოლექტივის შემოქმედებითს წარმატებებს. რეცენზიაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი „ბაგრატიონს“ (დამდგმელი რეჟისორი შ. ინასარიძე). ზედმეტი არ იქნება მოვიყვანოთ რეცენზიიდან ამონაწერი: „სპექტაკლში დამაჯერებლადაა გადმოცემული რუსი ხალხის მორალური და სულიერი მისწრაფებანი... მთავარი სიძნელე ეს არის ისეთი მონუმენტური სახეების შექმნა, როგორიცაა სუეოროვი, კუტუზოვი, ბაგრატიონი, ბარკლაი დე-ტოლი, აგრეთვე საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონი. მაყურებელი დიდი ინტერესით მოელოდა ბათუმელ მსახიობთა მიერ ამ სახეების სცენურ ხორცშესხმას.

პიესის ცენტრალური ფიგურა ბაგრატიონია. ამ როლს ასრულებს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ი. კობალაძე. მსახიობი გარეგნულ მსგავსებასთან ერთად მთელი შინაგანი გაცდებით მაყურებლის წინაშე ხატავს ბაგრატიონს, როგორც დიდგამჭრიახ და მამაც მხედართმთავარს, როგორც გამარჯვების რწმე-

ნით ანთებულ გულისხმიერ, გულთბილ და ტემპერამენტთან და-
მიანს, რომელსაც ყველაფერი, საკუთარი სიცოცხლეც კი, წარბ-
შეუხრელად მიაქვს სამშობლოს სამსხვერპლოზე. როლის ყველა
დეტალი, შტრიხიც კი მსახიობის შესრულებაში მკვეთრად ხაზგას-
მულია, მაგრამ ცალკე უნდა გამოიყოს სახის საფინალო აკორდი—
სიკვდილის სცენა, რომელსაც მსახიობი ი. კობალაძე დიდი სცენუ-
რი ოსტატობით, ძლიერი პათოსით და შინაგანი მგზნებარებით ატა-
რებს“.

ბაგრატიონის როლის შესრულება კობალაძის მორიგი დიდ
ღამარჯვება იყო.

ი. კობალაძემ მთავარი როლი შეასრულა პ. ლორიას პიესაში
„ნაირა“, რომლის დადგმა ეკუთვნის საქართველოს სსრ სახალხო
არტისტს მ. ხინიკაძეს.

პიესის სიუჟეტი მოკლედ ასეთია. თურქეთის ერთ-ერთ სო-
ფელში მცხოვრებ ქართველებს ყოველმხრივ ავიწროებენ თურქი
ხელისუფალნი. მეორე მსოფლიო ომის დროს სოფლის მთელი ქარ-
თველი მოსახლეობა აყარეს და შორეულ მხარეში გადაასახლეს.
ხელუხლებლად დატოვეს მხოლოდ მოხუცი ბექირ გურჯიძის ოჯა-
ხი. ეს „პატივი“ მას იმიტომ ხვდა, რომ ბექირის შვილიშვილი, 20
წლის ნაირა უყვარს თურქეთის ჯარის ოფიცერს ქემალს. ბექირი
ამ „მოწყალებას“ ცივად შეხვდა და გადაწყვიტა გაცლოდა თურ-
ქეთს, მან თავის შვილიშვილთან ერთად მოახერხა საბჭოთა საზ-
ღვარზე გადმოსვლა. საბჭოთა მიწაზე ბექირი და ნაირა შეხვდნენ
ნაირას მამას მევლედს და ნაირას ძმას ნოდარს. ხელაპყრობილი
ბექირი აღელვებით წარმოთქვამს აკაკი წერეთლის უკვდავ სტრიქო-
ნებს:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,

ჩემო სამშობლო მხარეო.

სნეული დავბრუნებულვარ,


მკურნალად შემეყარეო“.

ბექირი ბედნიერია, რომ თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღე-
ებს თავისუფალ, მშობლიურ მიწა-წყალზე დაამთავრებს. ასეთია
პიესის შინაარსი.



ა. შერვაშიძე. „გენერალი ბაგრატიონი“

ბაგრატიონი



პ. ლორია. „ნაირა“

ბექირ გურგიძე

პიესა „ნაირა“ ფაქტიურად ბექირ გურჯიძისა და ნაირას გარ-
შემო იშლება. ამ ორი როლის შემსრულებელზე დიდადაა დამოკი-
დებული სპექტაკლის გამარჯვება.

კობალაძის ბექირ გურჯიძე ამაღლებელი და ღრმად რეალის-
ტურია. მის ხასიათში წინა პლანზე სამშობლო და სამშობლოს სი-
ყვარულია წამოწეული. ბექირი პირადულს მეორე პლანზე აყენებს.
კობალაძემ სწორად გახსნა ბექირის სახე. სახის ექსპოზიცია თანმიმ-
დევრულად ვითარდება. კულმინაციური წერტილი—საზღვარზე გა-
დასვლა—დამაჯერებელია, კვანძის გახსნა—ეს საბჭოთა მიწაზე, თა-
ვისუფალ სამშობლოში ფეხის შემოდგმა და კობალაძე-გურჯიძის
მიერ გრძნობით წარმოთქმული დიდი აკაკის უკვდავი სიტყვები
იპყრობს მაყურებელს. კობალაძის ყველა სიტყვა გამთბარია ადამი-
ანური გრძნობითა და განცდით. სწორად და დამსახურებულად აღ-
ნიშნავდა პრესა, როცა კობალაძე-გურჯიძის სამშობლოში დაბრუნე-
ბის ბოლო ეპიზოდს შეუდარებელ ოსტატობამდე ასვლა უწოდა.

კობალაძემ თავისი ძლიერი თამაშით მაყურებელს განაცდევინა
მშობლიურ საქართველოს მოწყვეტილი ადამიანის სულისკვეთება
და ის უდიდესი სიხარული, რაც მან იგრძნო საბჭოთა საქართველო-
ში დაბრუნებით.

აკაკი წერეთლის დრამატული პიესა „პატარა კახი“ ერთ-ერთი
საყვარელი სანახაობაა ქართველი მაყურებლისათვის. პიესაში
საყურადღებო სახეა ერეკლეს ახლო თანამებრძოლი გელა. გელა
ღრმად მოხუცებული უსინათლო გმირია, რომლის იმედი და სი-
ხარული მრავალჭირნახული სამშობლოა. რასაკვირველია, ვა-
ცილებით უფრო ძნელია სრულყოფილად განასახიერო ფიზი-
კური დეფექტის მქონე პერსონაჟი, ვიდრე ფიზიკურად ჯან-
სალი ადამიანის სცენური სახე უარყოფითი იქნება იგი, თუ და-
დებითი. მაგ., მუნჯის განსახიერება მოითხოვს ხანგრძლივ დაკვირ-
ვებას მუნჯებზე, მაგრამ ბრმების როლი ვაცილებით რთული დასა-
ძლევია. მხედველობის დეფექტი სმენამ და ალღომ უნდა „გამოას-
წოროს.“ ამდენად მსახიობმა ბრმის როლის განსახიერებისას იშვია-
თი არტისტული უნარი უნდა გამოამჟღავნოს. თუ არა ასე, მარტო
დახუჭული თვალები არ მოგვცემს დამაჯერებელ სცენურ სახეს.


ამ სირთულის მიუხედავად კობალაძემ წარმატებით გაართვა თავი გელას როლს დიდი ქართველი მწერლის დრამატული პოემიდან „პატარა კახი“.

აი, ტურფას მიჰყავს უსინათლო, კობალაძე-გელა, რომელსაც ცალი ხელი ქალიშვილის მხარზე აქვს ჩამოდებული და ისე მიიკვლევს გზას. — ჩამოვჯდეთ, შვილო, ცოტას დავიძინებ, ეუბნება კობალაძე-გელა ტურფას. — ჩამოსხდნენ. ტურფას მოუსვენრობა ეტყობა. ლევან ქვაბულიძესთან შეხვედრა სწყურია. გელას ჩაეძინა, ძილშიაც შეოთავს მოხუცი... იღვიძებს გელა. ერთი შეხედვით აქ თითქოს არაფერია, მაგრამ დავაკვირდეთ ერთ პატარა შტრიხს — რამდენის მთქმელია იგი... კობალაძე-გელას მისი განუყრელი ჯოხი ძილში მიწაზე დავარდნია. თვალხილული პირდაპირ დასტაცებდა ხელს და აიღებდა მას, მაგრამ გელა უსინათლო მოხუცისათვის დამახასიათებელი ხელის თათურით ეძებს ჯოხს და თითქოს გჯერა, რომ ბრმის როლის განმსახიერებელ თვალხილულ მსახიობთან კი არა გაქვს საქმე, არამედ ჩვენს წინაშე დგას წლების ტვირთით დამძიმებული, თვალეზზე ლიბრგადაკრული მოხუცი.

ან ავიღოთ მეორე სცენა: პატარა კახმა დაამარცხა მტერი. ლამქარი მღერის „მუმლი მუხასა“. გელა იწყებს სიმღერას. სიმღერის დროს თავი ჩვეულებრივზე უფრო მაღლა აქვს აწეული მოხუცს. რას ნიშნავს ეს? სიმღერის ცოდნით გამოწვეულ სიამაყეს, თუ სხვა რამ ჩაიფიქრა მსახიობმა? დაუკვირვებელი თვალი არაბუნებრივად შიიჩნევს ამ სურათს, მაგრამ აქ ლამაზი ჩანაფიქრია: პირადულ სიხარულს დანატრებული მოხუცი ერის სიხარულის ფერხულშია ჩაბმული. ლიბრგადაკრულ თვალებს სიხარულთან ერთად სინათლეც სწყურია. და კობალაძე ჩვეულებრივზე უფრო მაღლა სწევს თავს, მზეს უსწორებს ჩამქრალ თვალებს, იქნებ მზის ძლიერმა ბრწყინვალეობამ ოდნავი შუქი მაინც ჩაუყენოს თვალში... გულში ჩაღვრილ სიხარულს სხვა დიდი სიხარული აკლია — სინათლე.

კობალაძის მიერ ამ როლის შესრულებაც მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

1952-53 წ. სეზონში მაღლიერმა მაყურებელმა აღნიშნა საყვარელი მსახიობის ღვაწლი და გაუმართა შემოქმედებითი საღამო. მოხსენებასა და მისასალმებელ სიტყვებში ფართოდ იყო გა-



მ. ლალიანი. „ნაპერწყლიდან“



ალ. ყაზბეგი. „ხვეისბერი გონა“

შუქებული ი. კობალაძის შემოქმედებითი გზა. საყვარელ მსახიობს ესალმებოდნენ და ხანგრძლივ შემოქმედებით მუშაობას უსურვებდნენ მუშა-მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის წარმომადგენლები. ისინი კობალაძეს დამსახურებულად უწოდებდნენ ქართული სცენის გამოჩენილ ოსტატს. თავის საპასუხო სიტყვაში ი. კობალაძემ მაყურებელს აღუთქვა, რომ კვლავაც დაუღალავად იმუშავებდა შემდგომი შემოქმედებითი ზრდისათვის.

მხატვრულ ნაწილში მაყურებლით გაჭედილ დარბაზს კობალაძემ უჩვენა სცენები სპექტაკლებიდან „ნაირა“ (ბეჭირ გურჯიძე), „არსენა“ (არსენა), „ოიდიპოს მეფე“ (ოიდიპოსი)...

ამავე სეზონში ბათუმის თეატრმა რამდენიმე კარგი დაღვრა უჩვენა მაყურებელს, მათ შორის აღსანიშნავია ი. ჭავჭავაძის „ოთარანთ ქვრივი“ (დამდგმელი შ. მესხი).

ამ სპექტაკლში გიორგის საინტერესო სცენური სახე შექმნა ● კობალაძემ. მისი გიორგი სწორედ ისეთია, როგორაც ის წარმოუდგენია დიდი ქართველი მწერლის შესანიშნავი მოთხრობის „ოთარანთ ქვრივის“ მკითხველს.

ი. კობალაძემ თეატრში მუშაობის 25 წლის მანძილზე ბევრი დასამახსოვრებელი სცენური სახე შექმნა. რამდენი დამაჯერებლობა და უბრალოებაა მის მიერ განსახიერებულ ისეთ სახეებში, როგორიცაა ელიშუქი შ. დადიანის პიესა „ნაპერწკლიდან“, პროფესორი ზანდუკელი ი. მოსაშვილის „მისი ვარსკვლავიდან“, არსენა ს. შანშიაშვილის „არსენადან“, ჯემალი ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვებიდან“, მინაი დუდნიკოვი ვ. დარასელის „კიკვიძიდან“, სასიძო გარსია ლორკას „სისხლიანი ქორწილიდან“, კობა ალ. ყაზბეგის „მამის მკვლელიდან“, პეტროვი სოფრონოვის „ერთი ქალაქიდან“, გოჩა ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩადან“, აშული საფარა ვ. გაბესკირიას „ქეთევან წამებულისიდან“, გიორგი მენაბდე ვ. კანდელაკის „უშრეტი წყაროდან“ და სხვ.

სხვადასხვა ხასიათის რთული სცენური სახეების შექმნის დროს კობალაძეს თითქმის ყველა როლისათვის აქვს განსხვავებული ტემბრი და პათოსი. თუ ერთგან მისი თავდავიწყებამდე მისული მჭექარე ხმა ყრუანტელის მომგვრელად გაისმის დარბაზში, სხვაგან იგი დინჯი და წინდახედულია.

თუ არსენას როლის შესრულების დროს (მანშიაშვილის „არსენა“) კობალაძე ძლიერი ფიზიკური ღონის, ხალასი, მაგრამ პროტესტანტული ბუნების მატარებელი ახალგაზრდის როლს ახორციელებს, სოფრონოვის „ერთ ქალაქში“ კობალაძის პეტროვი ხელმძღვანელი პარტიული მუშაკის ძვირფასი თვისებებით, აუღელვებელი მეტყველებით და დინჯი დარბაისლური ქცევით გამოირჩევა.


თუ მისი ელიოშუქი (შ. დადიანის „ნაპერწყლიდან“) უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი მუშისათვის დამახასიათებელი უმრეტე შინაგანი ცეცხლით გამოირჩევა, მისი მინაი დუდნიკოვი (ვ. დარასელის „კიკვიძე“) შინაგანი სიმართლისა და მხატვრული ზომიერების განსახიერებაა.

მისი გოჩა (ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“) წლების მანძილზე დაგროვილი სიბრძნით დაყურსული მოხუცია და თუ საჭაროა ისეთ ძალად იქცევა, რომელზეც ყველა სიმაგრე იმსხვრევა მას ზოგჯერ ოლიმპიური სიმშვიდე ახასიათებს, ზოგჯერ კიდევ ჭეჭაქუხილივით მრისხანია. ყრუანტელის მომგვრელია მისი სიცილი ონისეს გვამთან.

კობალაძე არც ერთ როლში არ არის კობალაძე. იგი ბრმის როლში ბრმაა, ანტიკურ გმირთა როლში—მონუმენტური და ბოზოქარი, მოხუცის როლში დინჯი და ბრძენია, პარტიული ხელმძღვანელის როლში საქმიანი და თავდაჭერილი. იგი თითქმის ყველა როლში ისეთია, როგორც აუცილებლად უნდა იყოს. ამიტომაცაა, რომ ჩვენი თეატრის ახალგაზრდა მსახიობთა უმრავლესობა ცდილობს მიბადოს კობალაძეს. იყოს ისეთი, როგორც კობალაძეა, უყვარდეს მაყურებელს ისე, როგორც კობალაძე უყვარს.

ი. კობალაძე თავისი ნიჭის მთელი ბრწყინვალეობით გამოჩნდა პ. ჯაკომეტის პიესა „დამნაშავეს ოჯახში“, სადაც იგი მაყურებელმა კორადოს როლში ნახა.

პ. ჯაკომეტი და მისი ფაობის იტალიელი დრამატურგები აღიზარდნენ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ტრადიციებზე. პ. ჯაკომეტმა თავისი მდიდარი მემკვიდრეობით თანამედროვე იტალიელ დრამატურგთა შორის სამართლიანად დაიმკვიდრა ერთ-ერთი საპატიო ადგილი. მისი პიესებიდან ცნობილია „მოქალაქეობრივი სიკვდი-



ლი“, რომელიც რუსულ ლიტერატურაში ალ. ოსტროვსკიმ „დამნაშავეის ოჯახის“ სახელწოდებით შემოიტანა. ჯაკომეტის ეს პიესა დიდი წარმატებით იდგმებოდა რუსეთის დიდ თეატრებში. და თუ ამ პიესას დღესაც არ დაუკარგავს თავისი ღირსება, ამის მიზეზი ისიც არის, რომ დრამატურგი პიესაში მკაცრად ილაშქრებს ფეოდალიზმის აბსოლუტური რეჟიმისა და კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ. ცხადყოფს, რომ იეზუიტთა გაბატონებული მდგომარეობა, მათი ბინძური ხელებით ფათური საზოგადოების სულსა და გრძნობებში არის სათავე ყოველგვარი ბოროტებისა და უნებლიე დანაშაულისა. იეზუიტთა ინკვიზიცია, საზოგადოების მოწინავე შეილთა „სისხლდაუღვრელად“ დასჯისათვის გამართული აუტოდაფეები სათავეშივე სპობდა თავისუფალ აზრებს და ზურგს უმაგრებდა კაცობრიობის საპყრობილეს — ფეოდალიზმის აბსოლუტურ მონარქიასა და კაპიტალისტურ სამყაროს.

ჯაკომეტის „მოქალაქეობრივი სიკვდილი“ დაუნდობელი მხილება კათოლიკური ეკლესიისა, დამნაშავე კორადო კი მრავალთაგან ერთ-ერთია, რომელიც შეიწირეს კათოლიკური ეკლესიის მესვეურებმა და სოციალურმა უკუღმართობამ.

კორადოს, რომელმაც ქალის მშობლების სურვილის წინააღმდეგ შეირთო როზალია, ერთ-ერთ შეტაკებაში შემოაკვდება ცოლისძმა, რისთვისაც მას მუდმივ კატორღას მიუსჯიან.

ჩვილბავშვიან როზალიას შეიფარებს კეთილშობილი ადამიანი, ეჭამი არიგო პალმიერი. როზალია, იმისათვის, რომ ქალიშვილ ადას შეუნარჩუნოს პატიოსანი ოჯახის შვილის სახელი, რითაც ადა დაზღვეული იქნება საზოგადოებისა და ეკლესიის გაკიცხვისაგან, ადას პალმიერის ქალიშვილ ემად აცხადებს, რომლის დედა თითქოს მშობიარობას გადაჰყვა და შემდეგში როზალიამ იკისრა ემას აღზრდა (სინამდვილეში არც ემამ ცოცხალი). კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენელი მონსინიორი ჯიოაკონიო რუვო ყველა საშუალებას ხმარობს დაიყოლიოს როზალია და აკისრებინოს მას გარყვნილი ქალის როლი. მაგრამ როზალია მტკიცედ დგას პატიოსნების სადარაჯოზე. გაივლის 15 წელი. კორადო საპატიმროდან გამოიქცევა. მას სურს კვლავ დაუბრუნდეს საყვარელ ოჯახს, მხატვრობას (ის მხატვარია), საზოგადოებას, მაგრამ დამნაშავეს გამოჩენა აშფოთებს რო-

ზალიას, რადგანც მოსალოდნელია გაიხსნას კვანძი და საზოგადოებაში გაიგოს, რომ ადა დამნაშავეის შვილია. მონსინიორი ცდილობს კორალოს გამოჩენით თავის სასარგებლო ინტრიგის ქსელი გააბას როზალიას გარშემო. მაგრამ კორალო თავისი ქალიშვილისათვის საზოგადოებაში საჭირო სახელის შენარჩუნებას სწირავს სიცოცხლეს და თავს იკლავს. მოქალაქეობრივი სიკვდილი კათოლიკური ეკლესიის ინტრიგებითა და ბნელი საქმიანობითაა გამოწვეული. დამნაშავეის ოჯახი კორალოს ოჯახი კი არ არის, დამნაშავეის თავშესაფარია ეკლესია, სადაც ყველაზე დიდი დამნაშავეები — სასულიერო პირები აფარებდნენ თავს.

პიესა დადგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ შ. ინასარიძემ.


მართებულად შენიშნავდა გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ მოთავსებული რეცენზიის ავტორი დ. ჭანტურიშვილი, რომ „პიესაში ლაპარაკი სჭარბობს მოქმედებას, მაგრამ სწორედ რეპლიკებიდან ირკვევა ერთიმეორეზე უფრო ამაღელვებელი ამბები. ამიტომ ამ პიესის დადგმაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეპლიკის მაღალ კულტურას, ტონს, ინტონაციას.“

როგორც რეჟისორი, ისე თეატრის კოლექტივიც პიესაზე მუშაობის დროს რთული ამოცანების წინაშე იდგნენ.

ოიდიპოსის შემდეგ, შეიძლება ითქვას, ისეთი ძლიერი ემოციითა და დიდი ტემპერამენტით ი. კობალაძეს არ შეუხსრულებია არც ერთი როლი, როგორც მისი კორალოა.

კობალაძე-ოიდიპოსის გვერდით თავისი მხატვრული სცენური ღირებულებით თამამად შეიძლება დავაყენოთ კობალაძე-კორალო. და ძნელია განსაზღვრა, სად უფრო მეტია ცეცხლი და სითბო, სცენური ოსტატობა და სახის სრულყოფილი გამოსახვისათვის საჭირო არტისტული სიღრმე.

კობალაძემ თავიდანვე კარგად აუღო ალლო ამ რთულ ტრაგიკულ როლს. იგი პირველი სცენიდანვე ავლენს იმ დიდ ძალასა და შესაძლებლობას, რომლითაც ბოლომდე უნდა მიიყვანოს ცხოვრების მესვეურთა ინტრიგებით განაწამები ადამიანის სცენურად რთული ხახე.



3. ჯაკობეტი. „ღამნაშვის ოჯახი“

კორაღო



ვ. კანდელაკი. „მაია წყნეთელი“

ამილახვარი

მონსინიორის კაბინეტში შემოდის საპატიმროდან გამოქცეული, განაწამები, დაღლილი და მშვიერი კობალაძე-კორაძო. მას მხოლოდ თავშესაფარი სჭირდება და, ბუნებით კეთილს, ვერ გაუგია, რომ ინტრიგის ქსელში ეხვევა. კობალაძე-კორაძო მონსინიორთან პირველი შეხვედრის სცენაში ბუნებრივი და ძალდაუტანებელია. მის მდგომარეობასა და ხასიათთან კარგადაა შეხამებული გარეგნობაც, ტანსაცმელი, გრიმი. მონსინიორთან შეხვედრის სცენაში მსახიობის მიერ აღებული ტონი სავსებით დამაკმაყოფილებელია. ძლიერია მამა-შვილის შეხვედრის სცენა.

კობალაძეს ბოლომდე ჩვეული ძალითა და ტემპერამენტით მიჰყავს კორაძოს როლი. ფინალში მოწამლული ადამიანის აგონია მსახიობს მთელი დამაჯერებლობით აქვს გადმოცემული.

კობალაძეს აქვს იშვიათი ფანტაზია და სცენური გარდასახვის დიდი უნარი, რაც ყოველთვის მიმზიდველს ხდის მის თამაშს.

„ტრაგიკული როლების იშვიათი შემსრულებელი“ — ასე უწოდა ორიოდ წლის წინათ კობალაძეს ქართული სცენის ცნობილმა ვეტერანმა და გამოჩენილმა მწერალმა შალვა დადიანმა, როდესაც მან რუსთაველის თეატრის სცენაზე კობალაძის შესრულებით ნახა „ოდიპოს მეფე.“ კობალაძის თამაშით აღტაცებული მსცოვანი მწერალი მაღალ შეფასებას აძლევს მის ნიჭს: „ამხ. იუსუფ კობალაძე, — წერს იგი. — მე ტრაგედიის დიდ არტისტად მიმაჩნია.

ამისათვის მას გარეგნული მონაცემებიც აქვს: სხეულის ახოვანება, პირსახის სათანადო მიმიკა, ხმის საამური, ბარიტონალური ტემბრი.

მხოლოდ, რაც მთავარია, მას აქვს შინაგანი განცდის გადმოცემის მომხიბლველი უნარი. ილია ჭავჭავაძის სიტყვით რომ ვთქვა: „დიდი ღმერთის საკურთხევლის მას უღვივის ცეცხლი გულში“.

ეს „დიდი ღმერთი“ მისთვის ტრაგედიის ჟანრია.

მე იგი ნახული მყავს „ოდიპოს მეფეში“ და აქ იგი ტრაგიკულ ხელოვნების უმაღლეს მწვერვალს აღწევს, განსაკუთრებით ფინალში, თვალების დათხრის შემდეგ...

სამწუხაროდ, მე არ მინახავს და ვერ ვიცნობ მის მიერ შესრულებულ სხვა როლებს და ამიტომ ვერაფერს ვიტყვი, მხოლოდ ახლახან მე ვნახე მის მიერ შესრულებული ამილახვარი „მაია წყნ-

თელში“ და აქაც დავინახე დიდი მსახიობური სიმაღლე და უნარი ამხ. იუსუფისა. ეს არის ტიპური გამოვლინება ძველი, ფეოდალური თვისებისა და როდესაც დარწმუნდება მაიას ქალობაში, „თავის თვალით“ რომ იხილავს, აქ ის შეუდარებელია.

უთუოდ ამხ. იუსუფი დიდი მოვლენაა ქართულ თეატრში.“

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 6 ივნისის ბრძანებულებით ი. კობალაძე დაჯილდოებულია მედლით „1941—1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“, ხოლო 1950 წლის 10 ნოემბრის ბრძანებულებით ქართული თეატრის აღდგენის 100 წლისთავთან დაკავშირებით — „საპატიო ნიშნის“ ორდენით. ი. კობალაძე 1945 წლიდან სკკპ წევრია.

ი. კობალაძე ბათუმის საქალაქო საბჭოს მესამე და მეოთხე მოწვევის დეპუტატია. იგი 1952 წლიდან საქართველოს კპ ბათუმის საქალაქო კომიტეტის წევრია.

1955 წლის 3 მარტის ბრძანებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ი. კობალაძეს მიანიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება, ხოლო ამ წიგნის გამოსვლის დღეებში აჭარის მშრომელები ზეიმით აღნიშნავენ ი. კობალაძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავს.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ი. კობალაძის ნაყოფიერი სასცენო მოღვაწეობა. საბჭოთა მაყურებელი მოელის, რომ იგი კვლავაც შექმნის მრავალ საინტერესო სცენურ სახეს და თავის წვლილს შეიტანს ქართული საბჭოთა თეატრის შემდგომ განვითარებაში.



ფანსი 2 მან.



Джемал Османович Чхеидзе

Юсуф Кобаладзе

Народный артист Грузинской ССР

(На грузинском языке)

Госиздат Аджарии

Батуми—1956